



საცხოვრებელი სახლის (ბინის) და მისი
მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა

საცხოვრებელი სახლის (ბინის) და მისი მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთო პირობები
დაზღვევის საერთო პირობები ვრცელდება როგორც სექცია 1-ზე - საცხოვრებელი სახლის (ბინის) და შიგთავსის დაზღვევა, ისე სექცია 2-ზე - სახლის (ბინის) მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა.

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. სადაზღვევო პოლისი/ხელშეკრულება - ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასა და დაზღვეულს შორის, რომელიც ძალაში შესვლის მომენტიდან უფლებას აძლევს დამზღვევს მოითხოვოს ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვევის წინამდებარე პირობებისა და გაცემული სადაზღვევო პოლისის შესაბამისად.
- 1.2. სადაზღვევო კომპანია, მზღვეველი - სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“.
- 1.3. დამზღვევი - პოლისში და სადაზღვევო პირობებში მოხსენიებული პირი, რომელიც ხელშეკრულებას აფორმებს მზღვეველთან. დამზღვევი შეიძლება იყოს ქონების მესაკუთრე, მისი ოჯახის წევრი ან მესაკუთრის შესაბამისი მინდობილობით (თანხმობის წერილის ან სადაზღვევო ინტერესის დამადასტურებელი კონტრაქტის არსებობისას) განსაზღვრული პიროვნება.
- 1.4. მოსარგებლე - ქონების მესაკუთრე (ან სათანადო წესით მინდობილი პირი), რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 1.5. სადაზღვევო თანხა, ანაზღაურების ლიმიტი - სადაზღვევო პოლისსა და ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი ვალდებულია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.
- 1.6. სრული ზარალი - დაზღვეული ქონება ჩაითვლება სრულად განადგურებულად, თუ მისი აღდგენის (რემონტის) დანახარჯი აღემატება მისი რეალური ღირებულების 75 %-ს.
- 1.7. სადაზღვევო პერიოდი - პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადა.
- 1.8. დაზღვეული ქონება - ქონება, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში/ხელშეკრულებაში და რომელზეც ვრცელდება დაზღვევა. დაზღვევა გავრცელდება მითითებული ქონების მხოლოდ შიდა მოპირკეთებასა და შიგთავსზე (ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა).
- 1.9. შიგთავსი (ავეჯი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ნივთები) - ტელე-ვიდეო-აუდიო აპარატურა, კომპიუტერული ტექნიკა, სარეცხის მანქანა, მაცივარი, მტვერსასრუტი, გათბობა-გაგრილების საშუალებები, გაზის და ელექტრო ღუმელები, სახლის სპორტული მოწყობილობა, სამზარეულოს მოწყობილობა (მიქსერი, კომბაინი), გენერატორი.
- 1.10. შიდა მოპირკეთება - კედლების შპალერი და/ან სხვა ტიპის საფარი, შეკიდული ჭერი, იატაკი, კარები/ფანჯრები და მათი საკეტები, მინები.
- 1.11. დაზღვეული რისკი - წინამდებარე პირობებით ან პოლისით/ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვლენა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს დაზღვეული ქონების დაზიანება/განადღურება. ჩამონათვალი მითითებულია პოლისში.
- 1.12. სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეული რისკით გამოწვეული შემთხვევა, რომელიც წინამდებარე პირობებითა და პოლისის/ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება გახდეს სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის მიზეზი.
- 1.13. დაზღვევის მოქმედების არეალი - პოლისში მითითებული მისამართი, სადაც განთავსებულია დაზღვეული ქონება.
- 1.14. ფრანშიზა - პოლისში/ხელშეკრულებაში მითითებული დათქმული თანხის ოდენობა, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო კონტრაქტის შესაბამისად.
- 1.15. სადაზღვევო პრემია - წინამდებარე სადაზღვევო პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო მომსახურების ღირებულება, რომელსაც დაზღვეული უხდის მზღვეველს დადგენილი წესით.
- 1.16. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია - პრემიის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდს.

2. სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულების გაფორმების წესი

2.1. სადაზღვევო ხელშეკრულება ფორმდება მზღვევლის მხრიდან ხელმოწერისა და ბეჭდის, ხოლო დამზღვევის მხრიდან ხელმოწერის გზით.

2.2. დამზღვევი ვალდებულია პოლისში მითითებულის გარდა, მიაწოდოს მზღვეველს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ზარალის ხდომილებასა ან ზომაზე სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

2.3. სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს დამზღვევის კანონიერი ინტერესის არსებობისას ქონების შენარჩუნებისათვის (საკუთრების უფლება, ქირავნობის ან სარგებლობის კონტრაქტი), სხვა შემთვევაში პოლისი შეიძლება ბათილად ჩაითვალოს.

2.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ცალკე დანართად უნდა გაფორმდეს.

2.5. თუ შიგთავსის რომელიმე ნივთის ღირებულება განსხვავდება (აღმატება) დანართში მოყვანილი პარამეტრებისგან, დამზღვევს უფლება აქვს ცალკე დანართი შეადგინოს ასეთ ნივთებზე და სხვადასხვა დეტალურ ინფორმაციასთან ერთად მიუთითოს დადასტურებული ფასები. ასეთი სია განიხილება დაზღვევის დაწყებისას და ექვემდებარება ცალკე შეთანხმებასა და სადაზღვევო განფასებას.

2.6. თუ დაზღვევის პერიოდში ხდება ახალი ნივთების შეძენა, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მზღვეველს თუნდაც ოფიციალურ მეილზე და ისინიც იგივე წესით ავტომატურად მიიღება დაზღვევაში.

2.7. თუ დამზღვევს სურს სხვა ნივთების დაზღვევაც, ის უფლებამოსილია მიაწოდოს დაზღვევის დაწყებისას ასეთი სია შესაბამისი ღირებულებებით. ასეთი დანართი ცალკე განხილვასა და შეთანხმებას დაექვემდებარება.

2.8. დასაზღვევად მიიღება მხოლოდ:

- საცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენებული უძრავი ქონება;
- 30 წელზე ნაკლები ასაკის შენობა;
- არაავარიული, მდგრადი, საცხოვრებლად გამართული, სათანადოდ გადახურული, იზოლირებული, გარემონტებული ფართი/შენობა;
- შენობა/ფართი აღჭურვილი უნდა იყოს დაცვის სათანადო სისტემით (რკინის კარი, მეტალის ჟალუზები, სიგნალიზაცია თუ სხვა) რათა შეუძლებელი იყოს შენობაში დაუბრკოლებლად შესვლა;
- თბილისის და ბათუმის ტერიტორია (ზონა 10 კილომეტრი);
- შენობაზე/ფართზე არ უნდა არსებობდეს სასამართლო დავა და არ უნდა იყოს დადებული სხვა სახის ფინანსური პატიმრობა (ყადაღა თუ სხვა);
- შენობასთან უნდა მიდიოდეს ასფალტირებული საერთო სარგებლობის გზა და ყველა კომუნიკაცია (კანალიზაცია, დენი, გაზი, წყალი).

2.9. ქონების დაზღვევის განხორციელება (დაზღვევა), შესაბამისად დამზღვევად წარდგენა შესაძლებელია ქონების მფლობელის (მისი ოჯახის წევრის) ან ნებისმიერი პირის, რომელსაც კანონიერი ინტერესი გააჩნია ქონების შენარჩუნებისათვის. ზარალის ანაზღაურებისას საჭიროა ქონების მფლობელის დასტური ანაზღაურების მიმღები პირის მინიშნებით.

3. სადაზღვევო პრემია, ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად და გრაფიკში დადგენილ თარიღებში. თუ სადაზღვევო პრემია არაა გადახდილი, ასეთი თარიღიდან 14 დღის შემდეგ (ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე) მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს დაზღვევის მოქმედება და არ განიხილოს სადაზღვევო შემთხვევა. ხოლო თუ გასულია პრემიის სავადო გადახდიდან 30 დღე და პრემია ისევ არაა გადახდილი, მზღვეველი უფლებამოსილია (ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე) გააუქმოს სადაზღვევო ხელშეკრულება. თუ პრემიის გადახდა ხორციელდება სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე, დაზღვევა გაგრძელდება ხელშეკრულებაში გაწერილი ვადის ფარგლებში. დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევა არ ანაზღაურდება.

3.2. სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

დაზღვევა ძალაში შედის სადაზღვევო პრემიის სრულად (ან განვადებისას მისი პირველი ნაწილის) გადახდის შემთხვევაში, პოლისში გაწერილი წესის შესაბამისად.

4. რისკის ხარისხის ცვლილება/შეტყობინების ვალდებულება

4.1. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს მზღვეველს ნებისმიერი ისეთი ცვლილება, რაც გავლენას ახდენს დაზღვეული ქონების რისკის ხარისხზე. ასეთ ცვლილებებს განეკუთვნება: გაქირავება (სრულად ან ნაწილის), იჯარით გადაცემა (სრულად ან ნაწილის), დაგირავება, საქმიანობის სფეროს (ქონების გამოყენების დანიშნულება) ცვლილება, კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, მესაკუთრის ცვლილება, ნებისმიერი ზარალი (ზიანი), მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა სადაზღვევო განხილვას, უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა ან ისეთი რამ, რაც ხელშეკრულების ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევას იწვევს. ასეთ შემთხვევებში მზღვეველი უფლებამოსილია: მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის ცვლილება, სადაზღვევო კონტრაქტის ცვლილება ან მისი მოშლა რისკის ცვლილების მომენტიდან.

იმისდა მიუხედავად, მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება, სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილია შეამოწმოს დაზღვეული ქონების მდგომარეობა და სახელშეკრულებო შესაბამისობები.

4.2. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს მზღვეველს ინფორმაცია იმის შესახებ თუ დაზღვევამდე ან დაზღვევის პერიოდში ქონებაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა ან ქონების მიმართ გამოყენებულ იქნა რაიმე სახის შეზღუდვა (ყადაღა, აღსრულება თუ სხვა).

5. დამზღვევის ქმედებები სადაზღვევო შემთხვევის დროს

5.1. ნებისმიერი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (ან ასეთის დადგომის ეჭვის შემთხვევაში) დამზღვევი ან მისი წარმომადგენელი დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა) ატყობინებს სადაზღვევო კომპანიას ასეთის შესახებ ცხელი ხაზის მეშვეობით ნომერზე (995 32) 2 244 111 ან 2 211 444. სადაზღვევო კომპანია მოინიშნავს შეტყობინების დეტალებს და დანიშნავს სპეციალურ წარმომადგენელს ზარალის რეგულირებისათვის. დამზღვევი (ან მისი წარმომადგენელი) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა წერილობით აწვდის მზღვეველს ინფორმაციას მიმდინარე მდგომარეობის დეტალური აღწერილობით.

5.2. დამზღვევი (ან მისი წარმომადგენელი) ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს და გაატაროს ყველა გონივრული ღონისძიება ზარალის ლოკალიზირებისა და მინიმიზირებისათვის. ზარალის გამოწვევი მიზეზების შესაბამისად აცნობოს სახელმწიფო ორგანოებს ამის შესახებ (პოლიცია, სახანძრო, სხვა გადაუდებელი სერვისები) და გაატაროს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ქმედებები. არ განახორციელოს ქმედებები მზღვეველის შესაბამისი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე (ასეთი წარმომადგენლის დანიშვნის მომენტიდან). ქონების გადარჩენის საუკეთესო პრაქტიკისა და სადაზღვევო წარმომადგენელთან შეთანხმებით, შეინარჩუნოს დაზიანებული ქონება ისეთ მდგომარეობაში, რაც შესაძლებელს გახდის ზარალის წარმოშობის მიზეზების და სხვა გარემოებების დადგენას.

5.3. დამზღვევმა (ან მისმა წარმომადგენელმა) საჭიროებისამებრ მოიპოვოს და წარუდგინოს მზღვეველს შემთხვევის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები სახელმწიფო ორგანოებიდან (პოლიცია, მეტეო სადგური, სახანძრო თუ სხვა). ასევე ითანამშრომლოს სადაზღვევო წარმომადგენელთან ყველა საჭირო მიმართულებით, მათ შორის აღდგენის ხარჯების ოპტიმალურ ვადაში და ოდენობით დასადგენად. თუ ზარალი გამოწვეულია მესამე პირის მიერ, მზღვეველის წარმომადგენლის მითითებით იმოქმედოს შესაბამისი გამოძიების, სხვა პასუხისმგებლობების (მათ შორის სუბროგაციის განხორციელების) თუ სხვა გარემოებების დასადგენად.

5.4. თუ დაზიანებული იყო შენობის ჭერი და მზღვეველმა გადაიხადა აღდგენის თანხა, ბოლო სართულზე მყოფი ქონების დაზღვევა ძალაში შევა მზღვეველისთვის აღდგენილი ჭერის წარმოდგენის (აღდგენის დამადასტურებელი დოკუმენტაციის) და მზღვეველის წარმომადგენლის მხრიდან აღდგენის დადასტურების მომენტიდან.

5.5. თუ არსებობს დამნაშავე მხარე, გაუწიოს მზღვეველს მხარდაჭერა კანონით გათვალისწინებული რეგრესის (სუბროგაციის) განხორციელების რეალიზებაში.

5.6. თუ ზარალის დადგომის მომენტში არსებობს მხარე (მათ შორის ქველმოქმედების სახით), რომელიც ვალდებულებას იღებს ზარალის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებაზე, ან თუ არსებობს სხვა კომპანიის მოქმედი სადაზღვევო პოლისი, რომელიც ითვალისწინებს დამდგარი ზარალის ანაზღაურებას - წერილობით

აგნობოს მზღვეველს ასეთის შესახებ, შესაბამისი იურიდიული და ფინანსური დეტალების მითითებით.

6. მზღვეველის უფლება/მოვალეობები

6.1. მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე (მისთვის ამის შესახებ დადგენილი წესით შეტყობინებისას) დანიშნოს სპეციალური წარმომადგენელი დამზღვევთან კომუნიკაციისათვის.

6.2. შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში დაიწყოს დაზიანების უშუალო შესწავლა და ფინანსური რევიზია.

6.3. მოთხოვოს სათანადო დოკუმენტების (ან ცნობების) წამოდგენა დამზღვევს. ნივთების ჩანაცვლების ღირებულების გათვლისას იხელმძღვანელოს ბაზარზე წარმოდგენილი ფასების საშუალო ოდენობაზე დაყრდნობით (მაგრამ არაუმეტეს დანართით განსაზღვრული ნივთის ღირებულებისა).

6.4. შეფასების ან ფაქტის დადასტურების დოკუმენტების დამზღვევის მხრიდან ან სხვა სახელმწიფო თუ ესპერტული მხრიდან მიღებისთანავე დაიწყოს ფაქტებისა და გაანგარიშებების წარმოება სადაზღვევო ხელშეკრულების მაიდენტიფიცირებელი ან ზარალის გაანგარიშების მიმართულებით.

თუ აღმოჩნდა, რომ შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი დამზღვევს.

6.5. შეარჩიოს აღდგენის (რემონტის) განმახორციელებელი და მაქსიმალურად მჭიდრო ვადაში შეადგინოს მისი მეშვეობით აღდგენის ხარჯთაღრიცხვა. ზარალის დადასტურების და სადაზღვევო აქტზე დამზღვევის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში დამზღვევის ანგარიშზე (ან მისი წერილობითი თანხმობის შესაბამისად სხვა ანგარიშზე) ჩარიცხოს თანხა. მზღვეველი უფლებამოსილია აღდგენის ყველა ეტაპზე მოახდინოს შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი.

6.6. ზარალის შესწავლის ყველა ეტაპზე იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულების და კეთილსინდისიერი მზღვეველის პრინციპით.

გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურება, თუ არსებობს საფუძვლანი ეჭვი დამზღვევის ან მოსარგებლის მიერ ფაქტების გაყალბების და შეგნებულად (ან დაფარულად) მომეტებული რისკების ნაწილში ან დაწყებულია გამოძიება სადაზღვევო შემთხვევის გარემოებებთან დაკავშირებით ან მიმდინარეობს სასამართლო აღნიშნულ საკითხზე.

6.7. რისკის ცვლილების ჩამოთვლილი შემთხვევების დროს, მზღვეველი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ:

- შეცვალოს სადაზღვევო პრემია ან სადაზღვევო პირობა და შესთავაზოს დამზღვევს ამ პირობებით დაზღვევის გაგრძელება. დაზღვევა გაგრძელდება მხოლოდ ორმხრივი თანხმობის და ამის შესახებ დანართის ხელმოწერის პირობით.

- შეწყვიტოს დაზღვევა ამის შესახებ 5 დღიანი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. უზარალო პოლისის არსებობისას დაუბრუნოს დამზღვევს ნამეტად გადახდილი გამოუმუშავებელი თანხა.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულება წყდება:

- პოლისში მითითებული ვადის ამოწურვისას.

- დაზღვეული ქონება აღარ არსებობს სადაზღვევო შემთხვევისგან დამოუკიდებელი მიზეზით;

- დამზღვევის (ან მისი მხარის) მიერ განზრახ/შეგნებულად გაზრდილია სადაზღვევო რისკები და ამის შესახებ მზღვეველს არ შეატყობინეს დროულად. დაზღვევის შეწყვეტის თარიღად ჩაითვლება ასეთი რისკების გამოვლენის (დაწყების) პირველივე თარიღი.

- მზღვეველის მხრიდან სადაზღვევო ვალდებულებები სრულად შესრულებულია.

- სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.2 დამზღვევის ინიციატივით სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ის ვალდებულია შეწყვეტამდე 30 დღით ადრე მიმართოს მზღვეველს და მიუთითოს შეწყვეტის თარიღი.

7.3 მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება შეტყობინების 14

(თოთხმეტი) დღიანი ვადის დაცვით და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ვადად შეწყვიტოს ხელშეკრულება/გააუქმოს პოლისი და არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, მათ შორის თუ შეიცვალა დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის პირობები ან განაცხადში მითითებული აღნიშნული მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან მზღვეველი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება და გააუქმოს სადაზღვევო პოლისის მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის ან მოსარგებლის მხრიდან ადგილი აქვს სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების მცდელობას, მზღვეველისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებას ან დაზღვეული ქონება კომერციული მიზნით გამოყენება. ყოველგვარი ორაზროვნების გამორიცხვის მიზნით, მზღვეველი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ხოლო ქონების კომერციული მიზნით გამოყენების შემთხვევაში არ აანაზღაუროს გაცხადებული ზარალი.

7.4 დაზღვევის ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ შეწყვეტამდე ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას:

ა) უკან დასაბრუნებელი პრემიის არსებობის შემთხვევაში, დამზღვევს დაუბრუნდება ჯამური პრემიიდან გაუქმების თარიღისთვის გამოუმუშავებელი ნაწილი ერთი თვის სადაზღვევო პრემიის გამოკლებით;

ბ) დავალიანების არსებობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს მოთხოვოს დავალიანების დაფარვასთან დამატებით ერთი თვის სადაზღვევო პრემიის გადახდა.

7.5 დაზღვევის ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ შეწყვეტამდე ადგილი ქონდა სადაზღვევო შემთხვევას და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად, მზღვეველის მხრიდან გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევი ვალდებულია დაფაროს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული წლიური პრემია სრულად და ასევე გადაიხადოს ჯარიმის სახით ერთი თვის სადაზღვევო პრემიის ოდენობა, ხოლო თუ შესაბამისი პოლისით განსაზღვრული პრემია, დამზღვევის მხრიდან მისივე ინიციატივით დაზღვევის ვადად შეწყვეტის მომენტში, უკვე სრულად დაფარულია, მაშინ მას (დამზღვევს), მზღვეველის მხრიდან გამოუმუშავებელი პრემიის ოდენობა უკან არ დაუბრუნდება.

8. საერთო გამონაკლისები

მზღვეველი არ ანაზღაურებს ზარალს, რომელიც გამოწვეულია ან უკავშირდება შემდეგ მოვლენებსა და გარემოებებს:

8.1 ომი, საომარი მოქმედება, შემოჭრა, რევოლუცია, აჯანყება, სამოქალაქო მღელვარება, ტერორისტული აქტი, სამხედრო გადატრიალება, გაფიცვა ან ლოკაუტი.

8.2 კონფისკაცია ან დაპატიმრება, რეკვიზიცია, ან სასამართლო/სახელმწიფო დადგენილებით ქონების განადგურება.

8.3 დაზღვეული ქონების ზიანი ან განადგურება გამოწვეული ბუნებრივი პროცესებით, ტექნიკის ამორტიზაცია, მიმდინარე შეკეთების ან მომსახურების ხარჯები, კოროზია, ჟანგვა, ეროზია, დანესტიანება სხვადასხვა მიზეზით.

8.4 შენობა-ნაგებობის, ან მისი ნაწილის დაზიანება ან ნგრევა, რომელიც უშუალოდ სადაზღვევო რისკით არაა გამოწვეული.

8.5 ზარალი, რომელიც უშუალოდ მომდინარეობს ან დადგა მათი მოქმედების შედეგად: შინაური ცხოველები, ფრინველები, ქვეწარმავლები, მღრღნელები ან სხვა მავნებლები (მათ შორის მწერები).

8.6 დამზღვევის, მისი წარმომადგენლის (ოჯახის წევრის ან ახლობლის) ან ქონებაში მცხოვრები (მყოფი) პირის პროფესიული საქმიანობით.

8.7 იჯარით გაცემული ან მიღებული ქონების და/ან მოიჯარის პასუხისმგებლობის დაზღვევა (მე-3 სექციის შემენის შემთხვევაში მოქმედებს მე-3 სექციით გათვალისწინებული პირობები).

8.8 ზარალი გამოწვეული ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი დამზღვევის ან მისი ოჯახის წევრის (ან მასთან მყოფი პირის) მიერ.

8.9 დაზღვეული ქონების - ნივთებისა და საგნების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, მათ შორის მოხმარების ინსტრუქციის, სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოების, სამშენებლო ნორმების, ექსპლუატაციის, შენახვის წესები დარღვევა.

8.10 ინფორმაციის მატარებლებიდან განადგურებული ან წაშლილი ინფორმაციის აღდგენის, ან უშუალოდ ამ ინფორმაციის რამენაირი ღირებულება, ნახაზები მაკეტები, პატენტები, ლიცენზიები თუ სხვა ამდაგვარი.

საგნების თუ ნივთების მწარმოებლის წუნი, ასევე მათი საგარანტიო მომსახურების (შეკეთების და ა.შ.) ხარჯები. ასევე ზარალს გამოწვეულს საგნების ან ნივთების შეკეთების ან რემონტის დროს ან ასეთის შედეგად.

8.11 ნივთის(ების) აუხსნელი გაუჩინარება (ცხადი კვალის ან ძალადობრივი ნიშნების გარეშე). ნებისმიერი ზარალის გამოწვევი „იდუმალი გარემოებები“, როდესაც გონივრული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა შეუძლებელია.

8.12 სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია (ან წარმოადგენს გაგრძელებას) დაზღვევამდე არსებული მოვლენისა ან გარემოების.

8.13 ნებისმიერი შუშის ნივთის (სარკე, ფანჯარა, ვიტრინა თუ სხვა) მსხვრევა, თუ ეს უშუალოდ არ მომდინარეობს დაზღვეული რისკიდან.

8.14 დაზღვეული ქონების მექანიკური დაზიანება ან მწყობრიდან გამოსვლა. ასევე ისეთი კონსტრუქციული ან საწარმოო დეფექტები (მათ შორის ნგრევა ან სხვა დეფექტები), რომელიც გამოვლინდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

8.15 ნებისმიერი არაპირდაპირ ზიანი (ფინანსური, მორალური თუ სხვა), რომელიც მომდინარეობს დაზღვეული რისკებისაგან. ასევე ამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით მიღებული ზიანი. სადაზღვევო გაყალბება, სადაზღვევო შემთხვევის ინსპირირება, ინსცენირება, დოკუმენტებისა თუ ინფორმაციის გაყალბება და ამდაგვარი.

8.16 სადაზღვევო შემთხვევა რომელიც დადგა 30 დღეზე მეტი ხნით დაზღვეული ქონების უმეტესაწილად დატოვების დროს.

8.17 სადაზღვევო კითხვარში მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება რეალობას, რამაც გავლენა იქონია საწყისად რისკის შეფასების დროს.

9. სადაზღვევო ანაზღაურება

9.1. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის სიდიდე განისაზღვრება სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის მიერ, შემთხვევის მომენტისათვის ზარალის აღდგენის საშუალო ფასზე დაყრდნობის პრინციპით გაანგარიშებული თანხით. თითოეული დაზიანებული ნივთის ან ფართობის აღდგენის/ჩანაცვლების ღირებულება დამყარებულია დაზიანების კონკრეტულ დეტალებზე და ის არცერთ შემთხვევაში არ აღემატება ცხრილში მოყვანილ ლიმიტებს. დაზიანებული ნივთების სიას დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს. თუ აღმოჩნდა, რომ ნივთის/ფართის დაზიანებამდელი ღირებულება ნაკლები იყო ვიდრე საშუალო აღდგენის/ჩანაცვლების ღირებულება, მზღვეველი გადაიხდის ნაკლებს - ნივთის რეალური ღირებულების/მდგომარეობის გათვალისწინებით და სადაზღვევო პირობების (მათ შორის კანონმდებლობის) სრული დაცვით. ანაზღაურების გათვალისწინება ასევე გაითვალისწინება ცვეთისა და ფრანშიზის პარამეტრებიც.

9.2. სადაზღვევო შემთხვევის და მისი გამომწვევი მიზეზების დასადასტურებლად, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისაგან, რათა მან წარმოადგინოს კომპეტენტური ორგანოების გაცემული დოკუმენტი. ასეთი ორგანოები შეიძლება იყოს: ჰიდრომეტსადგური, პოლიცია, საგამოძიებო ორგანოები, სასამართლო, სახანძრო/სამშველო/სასწრაფო სამსახურები თუ სხვა. სათანადო დოკუმენტების მიღებამდე სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილია არ განიხილოს სადაზღვევო შემთხვევა.

9.3. დაზიანებული ფართის აღდგენითი ღირებულება მოიცავს სარემონტო სამუშაოების საბაზრო ღირებულებას (მასალები, მუშახელი), რომელიც აუცილებელია აღდგენისათვის. აღდგენისას დაცული იქნება პირვანდელი მდგომარეობის შესაბამისობა. აღდგენა არ მოიცავს რაიმენაირი გაუმჯობესების ან გადაკეთების ხარჯებს. აღდგენის ღირებულებისას გაითვალისწინება სადაზღვევო ფრანშიზა (ასეთის არსებობისას) და ცვეთა. აღდგენის ღირებულება გაითვლება სათანადო სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

9.4. თუ სადაზღვევო ზარალი აღემატება 2,000 (ორი ათასი) ლარს, სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება სადაზღვევო წლის ბოლომდე დარჩენილი პრემია სრულად.

10. სუბროგაციის უფლება

10.1. მოსარგებლისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, გაცემული ანაზღაურების ფარგლებში

ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ მოთხოვნის უფლება გადადის მზღვეველზე.

10.2. დამზღვევი/მესაკუთრე ვალდებულია მზღვეველს გადასცეს ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია, რაც აუცილებელია მზღვევლის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ მოთხოვნის წაყენებისთვის.

10.3. დამზღვევი/მესაკუთრე ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს, მის მიერ სუბროგაციის უფლების განხორციელებაში.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე უარს იტყვის მზღვევლისათვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან სუბროგაციის უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდება დამზღვევის/მესაკუთრის ქმედებით, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან, ხოლო თუ უკვე გადახდილი აქვს, წარმოეშვება უფლება მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

11. დაზღვევას არ ექვემდებარება:

11.1 აქციები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები, ნაღდი ფული (ან ნებისმიერი კოლექცია), ნახაზები, ბუღალტრული ჩანაწერები თუ სხვა ამდაგვარი ინფორმაცია. მოდელები, მაკეტები ყალიბები თუ სხვა.

11.2 ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვები ან მათი ნაკეთებობი, ანტიკვარიატი, 50 წელზე ზევით ავეჯი, სკულპტურები და ქანდაკებები, მარკების, მონეტების თუ სხვა კოლექცია. საყოფაცხოვრებო ტექნიკა 8 წელზე მეტი ასაკის შემთხვევაში.

11.3 ელექტრონული მეხსიერების საშუალებები, კომპიუტერული მოწყობილობები და პროგრამები, გადამცემი ხაზები და გამანაწილებლები, საბრძოლო მასალა, იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები, ცხოველები, ფრინველები, ნარგავები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, შენობის გარე მხარეს არსებული ქონება (გარდა გათბობა/გაგრილების სისტემებისა), ანძები, ტენტები და მსუბუქი გადახურვები, კვების პროდუქტები, ქონება რომელიც დაზღვეულ ტერიტორიაზეა მაგრამ არ ეკუთვნის დამზღვევს (ან ამ მისამართზე მცხოვრებ პირს) და არაა მითითებული სადაზღვევო დანართში.

11.4 ქონება არ ჩაითვლება დაზღვეულად თუ ის მიჩნეულია ავარიულად კომპეტენტური ორგანოების მიერ. ასევე ის შენობა ნაგებობები, რომლებიც არ გამოიყენება საცხოვრებლად და მასში განთავსებული ქონება - ფარდული, ავტოფარები, დამხმარე ნაგებობა, აუზი და სხვა.

11.5 შიგთავსი დაზღვეულია მხოლოდ დაზღვეულ ტერიტორიაზე (შენობის მიხედვით), მითითებულ მისამართზე. თუ ხდება ნივთების გადატანა სხვაგან, დაზღვევა აღარ გავრცელდება მათზე მისამართის ცვლილების მომენტიდან.

12. დაზღვევის გადაწყვეტა

12.1. დაზღვევის ხელშეკრულების გარშემო წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. მიმოწერა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულებით/პოლისით გათვალისწინებული, ასევე წინამდებარე პირობებიდან/პოლისიდან გამომდინარე ურთიერთობებში მზღვეველის შეტყობინებები უნდა ჩაბარდეს დამზღვევს პირადად, ან სატელეფონო შეტყობინებებით ან გაიგზავნოს საფოსტო გზავნილით, ელექტრონული ფოსტით, პოლისში/დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე (ადგილსამყოფელი, E-mail), ტელეფონზე და იგი ჩაითვლება ჩაბარებულად ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს; სატელეფონო შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი გაგზავნის დღეს.

13.2 დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მზღვეველს პოლისში/დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებში (ადგილსამყოფელი, ტელეფონი, E-mail) ცვლილებების შესახებ. ამასთან აუცილებელია, ახალი რეკვიზიტების სრული და ზუსტი მითითება. ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში, დამზღვევი ვერ მიუთითებს შეტყობინების მიუღებლობის მიზეზად მისამართების, ტელეფონის შეცვლის ფაქტზე და მას შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა შედეგით.

13.3 მხარეები ვთანხმდებიან, რომ კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს სატელეფონო კომუნიკაციის

გზით.

14. დასკვნითი დებულებები

14.1 მხარეთა შეთანხმება არ მოითხოვება ამ პირობებში ცვლილებების/დამატებების შესატანად, თუ ეს საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარეობს;

14.2 დამზღვევის ვალდებულებები თანაბრად ვრცელდება დაზღვეულზე და მოსარგებლეზე;

14.3 მხარეები ვალდებული არიან, მეორე მხარესთან წერილობით შეუთანხმებლად არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე პირობებიდან გამომდინარე.

სექცია 1 - საცხოვრებელი სახლის (ბინის) და შიგთავსის დაზღვევა

წინამდებარე სექციაზე სრულად ვრცელდება საცხოვრებელი სახლის (ბინის) და მისი მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთო პირობები

1. დაზღვეული რისკები:

მეზობელი (მომიჯნავე) ფართიდან წყლის შემოსვლა (ამოქმედდება პოლისის ძალაში შესვლიდან 2 კვირის შემდეგ);

კანალიზაციის და/ან წყალგაყვანილობის, ელექტროგაყვანილობის და/ან გათბობის სისტემების მწყობრიდან გამოსვლა (ამოქმედდება პოლისის ძალაში შესვლიდან 2 კვირის შემდეგ);

ხანძარი, კვამლით დაზიანება, აფეთქება;

სტიქიური უბედურებები;

ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;

მესამე პირთა კანონსაწინააღმდეგო/ვანდალური ქმედება.

2. პასუხისმგებლობის ლიმიტი

2.1. მზღვევლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა შემოიფარგლება სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებული პასუხისმგებლობის ჯამური ლიმიტით.

2.2. ჯამური ლიმიტი წარმოადგენს იმ მაქსიმალურ თანხას, რომელსაც მზღვეველი ჯამურად გადაიხდის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში წინამდებარე პირობების მეორე სექციით დაფარული რისკის დადგომის შემთხვევაში.

2.3. მზღვევლის მიერ მოსარგებლისათვის გაცემული ყველა ანაზღაურება შეამცირებს პოლისის სადაზღვევო ლიმიტს გაცემული თანხების ოდენობით.

3. სადაზღვევო დაფარვა

მზღვეველი ანაზღაურებს დაზღვეული ქონების ზარალს ან ზიანს შემდეგ შემთხვევებში:

	ექვემდებარება ანაზღაურებას		არ ანაზღაურდება
3.1	მეზობელი/მომიჯნავე ფართიდან შემოსული წყლით, დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება	3.7	დაზღვევის ძალაში შესვლამდე მომხდარი ზარალი/დაზიანება, ასევე არ ანაზღაურდება გაცხადებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებები, რომლებიც არ არის გამოწვეული კონკრეტული გაცხადებული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად.
3.2	კანალიზაციის, წყალგაყვანილობის, ელექტროგაყვანილობის და/ან გათბობის სისტემის მწყობრიდან გამოსვლით,	3.8	ელექტროგაყვანილობის, გათბობის, კანალიზაციის მოხმარების ჩვეულებრივი ნორმების დაუცველობით გამოწვეული

	დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება		ზარალი; ცვეთადი ნაწილების შეცვლის ხარჯები, როგორებიცაა : ფილტრები, შუასადებები, საფენები, რეზინები, რეზინის მილები, ნათურები, მცველები, კაბელები და ელექტროსადენები, რომლებიც არ არის შიდა მოპირკეთების ელემენტები და თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით; ასევე ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვეული ქონების მწყობრიდან გამოსვლით (მათ შორის, ელექტროენერგიის ცვალებადობით) მიყენებული ზიანი).
3.3	ხანძრით, კვამლით და/ან აფეთქებით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება	3.9	ზარალი და/ან დაზიანება გამოწვეული დაზღვეული ქონების ცეცხლით, სითბოთი ან სხვა თერმული დამუშავების შედეგად. ასევე არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც მიაღწა დაზღვეულ ქონებას კვამლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად
3.4	სტიქიური უბედურებით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება, კერძოდ წვიმა (როდესაც მოსული ნალექების დაზღვეული მოცულობა აღემატება 10 სმ/24 საათში), სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მეტრწამზე მეტი სიჩქარით, რომელიც გამოწვეულია ატმოსფეროს ბუნებრივი პროცესებით	3.10	არ ანაზღაურდება ზარალი გამოწვეული: ნაგებობაში წვიმის , თოვლის და სეტყვის შეღწევისას ღია ფანჯრებიდან, კარებიდან, ასევე სხვა ხვრელებიდან, რომლებიც გაკეთებულია წინასწარ (განზრახ), წარმოქმნილია სიძველით ან სამშენებლო დეფექტის გამო. არ ანაზღაურდება აივნისთვის წვიმით, სეტყვით, წყალდიდობით მიყენებული ზიანი. მეხის დაცემით გამოწვეული ელექტრომოწყობილობის ან დანადგარის დაზიანება ხანძრის წარმოშობის გარეშე. იმ შემთხვევაში თუ დაზღვეული ფართი მდებარეობს შენობის ბოლო სართულზე და მზღვეველმა აანაზღაურა ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო დაზღვეული რისკით და შენობის სახურავის დაზიანებით, მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ნებისმიერ მომდევნო ზარალი, თუ არ განხორციელდება სახურავის სრულფასოვანი შეკეთება.
3.5	ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა - მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დაზღვეულ ფართზე შეღწევის (მათ შორის ძალადობით) ცხადი კვალი.	3.11	არ ანაზღაურდება ქურდობა, ძარცვა ან ყაჩაღობით გამოწვეული ზარალი თუ დაზღვეული ქონება მიტოვებულია მეთვალყურეობის გარეშე 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით. არ ანაზღაურდება ზარალი ან ზიანი თუ ქონება დაიკარგა დაუდგენელ ვითარებაში.
3.6	მესამე პირის ვანდალური ქმედებით ქონების დაზიანება ან განადგურება (ნებისმიერი პირი, გარდა თქვენი ან მოსარგებლის ოჯახის წევრებისა ან ამავე ფართში მცხოვრები		

	პირისა)		
--	---------	--	--

სექცია 2 - სახლის (ბინის) მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა

წინამდებარე სექციაზე სრულად ვრცელდება საცხოვრებელი სახლის (ბინის) და მისი მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთო პირობები

1. დაფარული რისკი:

- მესაკუთრის არსებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირის ქონებრივი ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ქონების დაუდევრად (არასათანადოდ, კანონდარღვევით) ფლობითა და/ან განკარგვით.

1.1. მზღვეველი გადაიხდის იმ თანხას, რომლის გადახდის პასუხისმგებლობაც მესაკუთრეს სამართლებრივად დაეკისრება მესამე პირისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანისთვის, რომელიც არ წარმოადგენს გამონაკლისს წინამდებარე პირობების მიხედვით.

1.2. მესაკუთრეზე დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. მზღვეველი უფლებამოსილია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი საბუთებით და შემთხვევის გარემოებებით დგინდება მესაკუთრის ცალსახა და უდავო პასუხისმგებლობა მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის გამო.

1.3. მზღვეველი უფლებამოსილია წარმოადგინოს მესაკუთრის ინტერესები სასამართლო დავის დროს, თუმცა მზღვეველი არ არის ვალდებული დაიცვას მესაკუთრის ინტერესები ისეთი ქონებრივი ზიანისთვის, რომელთა დაფარვა არ მოიაზრება წინამდებარე დაზღვევით.

1.4. წინამდებარე დაზღვევა ფარავს მესამე პირის ქონებრივ ზიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

1.4.1. ქონებრივი ზიანი გამოწვეულია შემთხვევით, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებში.

1.4.2. ქონებრივ ზიანს ადგილი ჰქონდა პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის ფარგლებში.

1.4.3. მზღვეველისთვის ანაზღაურების მოთხოვნა წარდგენილია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, ამასთან თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა სადაზღვევო პერიოდის ბოლო კალენდარულ დღეს, დამზღვევს ეძლევა დამატებითი 24 საათიანი ვადა შესაბამისი შეტყობინების გასაკეთებლად.

1.4.4. თუ მესაკუთრესა და მესამე პირს შორის ზიანთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, მესაკუთრის წინააღმდეგ სარჩელი შეტანილი უნდა იყოს საქართველოს სასამართლოში ან საქართველოში მოქმედ არბიტრაჟში.

1.5. სასამართლოს დავის გარეშე, მესაკუთრეს არ აქვს უფლება მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირების წინაშე გასცეს დაპირება ან აიღოს თავის თავზე სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.

2. პასუხისმგებლობის ლიმიტი

2.1. მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა შემოიფარგლება სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებული პასუხისმგებლობის ჯამური ლიმიტით.

2.2. ჯამური ლიმიტი წარმოადგენს იმ მაქსიმალურ თანხას, რომელსაც მზღვეველი ჯამურად გადაიხდის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში წინამდებარე პირობების მეორე სექციით დაფარული რისკის დადგომის შემთხვევაში.

2.3. მზღვეველის მიერ მოსარგებლისათვის გაცემული ყველა ანაზღაურება შეამცირებს პოლისის სადაზღვევო ლიმიტს გაცემული თანხების ოდენობით.

3. სექცია 2 არ ფარავს პასუხისმგებლობას ქონებრივ ზიანზე, რომელიც მიადგა:

3.1. მფლობელის საკუთრებას, მის მიერ იჯარით აღებულ ან ფაქტობრივად დაკავებულ ქონებას;

- 3.2. მესაკუთრის მიერ მიტოვებულ, ან მესამე პირისთვის გადაცემულ უძრავ ქონებას, თუ ზარალი გამოწვეულია ასეთი ქონებით ან მისი ნაწილით;
- 3.3. ისეთ ქონებას, რომელიც მიზარებული აქვს მესაკუთრეს (მიზარებული ქონება); ისეთ ქონებას, რომელიც მიზარებული აქვს მესაკუთრეს (მიზარებული ქონება);
- 3.4. იმ პირის პირად საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომელსაც სარგებლობის უფლებით აქვს აღებული დაზღვევის ტერიტორია;
- 3.5. მესამე პირის ქონებას დამზღვევის განზრახ ქმედების ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად.
- 3.6. სექცია II-ით ასევე არ იფარება:
- 3.6.1. მესამე პირის ჯანმრთელობაზე მიყენებული ნებისმიერი ზიანი;
- 3.6.2. მორალური ზიანი;
- 3.6.3. პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახის ჯარიმაზე;
- 3.6.4. მიუღებელი შემოსავალი.

4. სადაზღვევო ანაზღაურება

- 4.1. დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ, შეატყობინოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებსა და მზღვევებს პოლისში მითითებულ ცხელი ხაზის ნომერზე - (995 32) 2 244 111 ან 2 211 444;
- 4.2. ზარალის ანაზღაურება გაიცემა მხარეების მიერ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 4.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს მზღვევებს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:
- 4.3.1. წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის აღწერით;
- 4.3.2. დაზარალებული პირების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები, საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში.
- 4.3.3. სადაზღვევო შემთხვევის ადგილას გამოძახებული საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი შესაბამისი დოკუმენტი.
- 4.3.4. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ (შსს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, მეტეოროლოგიური ცენტრი, სახანძრო სამსახური) გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზები;
- 4.3.5. შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;
- 4.3.6. თუ მოსარგებლის გარდაცვალების გამო, სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს სხვა პირი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა) და რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;
- 4.3.7. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრესა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით - ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე; ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მესაკუთრე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს, მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- 4.3.8. მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი.
- 4.3.9. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვევის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა საბუთი, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დასადგენად და მიყენებული ზიანის დასაანგარიშებლად.

სექცია 3 - ქირით გაცემული ქონების დაზღვევა

წინამდებარე სექციაზე სრულად ვრცელდება საცხოვრებელი სახლის (ბინის) და მისი მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთო პირობები

1. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე იჯარით გასცემს (აქირავებს) დაზღვევის ტერიტორიას მესამე პირებზე და შესაბამისი ჩანაწერი გაკეთებულია სადაზღვევო პოლისში:

1.1. I-ლი სექციით გათვალისწინებულ დაფარულ რისკებს ემატება:

- დამქირავებლის მიერ, დაქირავებული ქონების დაზიანება მისი დაუდევრად ფლობის და განკარგვის შედეგად;

1.2. მე-2 სექციით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, ამავე სექციაში მითითებული ლიმიტით.

2. მე-3 სექციით არ იფარება თავად დამქირავებლის საკუთრებაში არსებული ქონებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი;

3. მე-2 სექციით გათვალისწინებულ დაფარულ რისკებს ემატება:

- მესაკუთრეზე დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა დამქირავებლის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის ტერიტორიაზე, დამზღვევის მიერ დაზღვეული ქონების დაუდევრად ფლობითა და განკარგვით;

3.1. II სექციის დაფარვიდან დამატებითი გამონაკლისია:

3.1.1. დამქირავებლის გარდაცვალება;

3.1.2. დამქირავებლის შრომისუუნარობა.

4. სუბროგაციის უფლება

4.1. მოსარგებლისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, გაცემული ანაზღაურების ფარგლებში ზიანზე პასუხისმგებელი პირის (დამქირავებლის) მიმართ მოთხოვნის უფლება გადადის მზღვეველზე.

4.2. დამზღვევი/მესაკუთრე ვალდებულია მზღვეველს გადასცეს ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია, რაც აუცილებელია მზღვევლის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ მოთხოვნის წაყენებისთვის.

4.3. დამზღვევი/მესაკუთრე ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს, მის მიერ სუბროგაციის უფლების განხორციელებაში.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე უარს იტყვის მზღვევლისათვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირის (დამქირავებლის) მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან სუბროგაციის უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდება დამზღვევის/მესაკუთრის ქმედებით, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან, ხოლო თუ უკვე გადახდილი აქვს, წარმოემშვება უფლება მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

დამზღვევის ხელმოწერა:

**მზღვევლის ხელმოწერა
და ბეჭედი**
